პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 199 (3429)

11

1967 წ.
ოქტომბერი,
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

მიხეილ ხერგიანმა ყველა გაასწრო

იალტა, 10 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს განუზომელი ინტერესი გამოიწვია კლდეზე ცოცვაში სსრ კავშირის II ჩემპიონატის პროგრამით პირადი პირველობისთვის მოსასპარეზეთა დახკვნითმა შეჯიბრებებმა. მრავალრიცხოვანი მაყურებელი პირდაპირ გააოცა სახელოვანი ქართველი მთამსვლელის მ. ხერგიანის უზადო ოსტატობამ. მას ბადალი არ ჰყავდა! 90-მეტრიანი ციცაბო კლდოვანი ტრასა ხერგიანმა 5 წუთსა და 26 წამში „გაირბინა“ და 380 ქულით კვლავ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება.

II ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ვ. მარკელოვმა — 360 ქულა (6.46,0). მესამე და მომდევნო ადგილების ბედი ჯერ არაა გარკვეული.

ასევე აჯამებენ ქალთა შეჯიბრების შედეგებს, მაგრამ თბილისელ ი. თურმანიშვილს უკვე შეიძლება ბრინჯაოს მედლის მოპოვება მივულოცოთ. 70-მეტრიანი ტრასა მან 3 წუთსა და 28 წამში დაძლია.

გუნდურ ჩათვლაში კვლავ საქართველოს წარმომადგენლები ლიდერობენ — 1058 ქულა. II ადგილზეა ყაზახეთის ნაკრები (1028), ხოლო III — სვერდლოვსკელები (1018).

ხვალ, სოფელ კრასნოკამენსკში იწყება შეჯიბრებები წყვილთა ცოცვაში. ამ სახეობაში ჩვენგან გამოვა მ. ხერგიანისა და თ. ბაქანიძის დუეტი.

ლ. მუსხელაძე.

ჩემპიონი მეათედ!

როგორც ვიუწყებოდით, „ბურევესტნიკის“ საკავშირო ტურნირში (დონის როსტოვი) საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა.

გუშინწინ დამთავრდა პირადი პირველობის გათამაშება, ვაჟთა ერთეულების შეჯიბრებაში თბილისელი სპორტის ოსტატი თ. კაკულია არ მონაწილეობდა, ვ. ასათიანი, ვ. პერეგუდოვი, ძმები პ. და ვ. აბაშკინები კი უხეიროდ გამოვიდნენ.

ქალთა ერთეულების ტურნირში კი სხვაგვარი სურათი იყო: ი. ერმოლოვა და ლ. მგალობლიშვილი ფინალში გავიდნენ. თბილისელი ოსტატების შეხვედრა საინტერესო გამოდგა. გამარჯვება მრავალ ბრძოლაში ნაცადმა ერმოლოვამ, რომელმაც მეათედ მოიპოვა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი.

მგალობლიშვილი II ადგილზეა. ქების ღირსია 16 წლის თბილისელი მოსწავლე ო. პაპაიანი. მან მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო (ი. ერმოლოვასთან, ნახევარფინალში) და III ადგილი დაისაკუთრა.

ი. სოსელია.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ი. ერმოლოვა.
ფოტო ი. იუნაევისა.

ჩ ო გ ბ უ რ თ ი

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ...

„ზარია“ — „დინამო“ (კიევი) 1:4
„დინამო“ (მინსკი) — „კრილია სოვეტოვი“ 1:0
ცსკა — „ზენიტი“ 1:0
„ნეფტიანიკი“ — „ლოკომოტივი“ 1:0
„არარატი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 5:0
„პახტაკორი“ — „სპარტაკი“ 1:1
„კაირატი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:2

მიზანი ახლოს იყო...

დონეცკი. „შახტიორის“ ცენტრალური სტადიონი. 10 ოქტომბერი.

„შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (თბილისი) 3:2 (2:0).

„შახტიორი“: კოროტკიხი (გოვოროვი), გოლოვკო, ზიმა, სალკოვი, გუბიჩი, გრიგორიევი, ბაზილევიჩი (ევსეენკო), გლოდიანისი, სტანკიავიჩუსი, პილიპჩუკი, ლობანოვსკი.

„დინამო“: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჩელიძე, კანთელაძე, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, დათუნაშვილი, ასათიანი (იამანიძე), მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:0 „შახტიორის“ სასარგებლოდ.

პირველი ტაიმი აღინიშნა მასპინძელთა უპირატესობით, რომლებმაც ორჯერ აიღეს მეტოქის კარი: 22-ე წუთზე — ბაზილევიჩმა და 43-ე წუთზე — გლოდიანისმა.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა მტკიცედ იგდეს ხელთ მატჩის სადავეები და ჯერ სიჭინავამ (49-ე წ.), შემდეგ კი რეხვიაშვილმა (59-ე წ.) გაქვითეს ანგარიში. „დინამომ“ ამით თითქოს შესრულებულად მიიჩნია ამოცანა, მოადუნა ტემპი და... დაისაჯა კიდეც: 69-ე წუთზე გლოდიანისმა თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

მსაჯმა მინდვრიდან გააძევა პეტრიაშვილი.

• • •

თბილისის „დინამო“ შემდეგ მატჩს 13 ოქტომბერს გამართავს დონის როსტოვში ადგილობრივ არმიელებთან.

ქუთაისელთა მარცხი

დონის როსტოვი, 10 ოქტომბერი. დღეს აქ ქუთაისის „ტორპედომ“ წააგო მატჩი ადგილობრივ ასკ-სთან — 0:3. ბურთები გაიტანეს: პოპოვმა და კოპაევმა (2).

II „ა“ ჯგუფი

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

ტყიბულის „მეშახტეს“ და ბათუმის „დინამოს“ გასვლითი მატჩები ჰქონდათ. ტყიბულელები გროზნოში შეხვდნენ ადგილობრივ „თერგს“ და დამარცხდნენ — 0:1.

ბათუმის დინამოელები ნალჩიკში ეთამაშნენ იქაურ „სპარტაკს“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „ბალტიკა“ (კალინინგრადი) 2:1, „რუბინი“ (ყაზანი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:2, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „სპარტაკი“ (გომელი) 1:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 2:0, „დინამო“ (კიროვაბადი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი) 1:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 3:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დინამო“ (ლენინგრადი) 2:1.

შესანიშნავი მატჩის მოწმენი გავხდით თბილისელი ფეხბურთის მოყვარულნი 9 ოქტომბერს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრაში ჩვენ ვიხილეთ ნამდვილი ჭაბუკური მგზნებარებითა და ტემპერამენტით აღსავსე, ყოველმხრივ ჩამოყალიბებული და კვალიფიციური თამაში, რომელმაც მაყურებელი გაიტაცა პირველივე წუთებიდან და სრულ დაძაბულობაში ჰყავდა საფინალო სასტვენამდე. სათანადოს მივუზღავთ ახალგაზრდა გერმანელ ფეხბურთელთა ოსტატობას, მათს ტაქტიკურ სიმწიფეს, ზუსტ. კოლექტიურ ურთიერთმოქმედებას, რომელთა წყალობითაც ამ გუნდმა სულ ახლახან მოუგო სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებს, მაგრამ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარებული მატჩის გმირი მაინც საქართველოს გუნდი იყო. დიდი ხანია არ გვინახავს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ასე კარგად მომზადებული.

გუნდის უფროს მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ს. სიხარულიძეს მეორე მწვრთნელ ა. ვარდიაშვილთან ერთად საფუძვლიანად, მთელი გულისყურით უმუშავია თბილისელ, ქუთაისელ, სოხუმელ, ზუგდიდელ, მაიაკოვსკელ ახალგაზრდა ფეხბურთელებთან და მონოლითურ, მეგობრულ კოლექტივად გარდაუქმნია ნაკრები.

ჩვენი გუნდი დღეს მიემგზავრება სოჭში, სადაც 18-29 ოქტომბერს ითამაშებს „იმედის თასის“ საკავშირო ფინალურ ტურნირში. ვუსურვოთ მას ახალი წარმატებები.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი; ქვევით — მატჩის სამივე გოლის ავტორები (მარცხნიდან): ზ. პეტრიაშვილი, ფ. ნოიბერტი, ხ. ჭორიძე.

ფოტო ი. იუნაევისა.

I „ა“ ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	29	17	11	1	50—16	45
„დინამო“ (კიევი)	27	15	10	2	41—10	40
„დინამო“ (მინსკი)	28	10	13	5	38—25	33
„დინამო“ (თბილისი)	28	11	11	6	36—25	33
„შახტიორი“ (დონეცკი)	29	11	11	7	37—35	33
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	28	11	10	7	33—24	32
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	27	11	8	8	41—28	30
„არარატი“ (ერევანი)	28	11	8	9	32—27	30
ცსკა	28	9	10	9	27—30	28
„ტორპედო“ (მოსკოვი)	27	11	5	11	31—36	27
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	28	6	14	8	20—21	26
ასკ (როსტოვი)	28	10	6	12	27—34	26
„ტორპედო“ (ქუთაისი)	29	7	10	12	29—42	24
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	29	4	15	10	28—37	23
„კაირატი“ (ალმა-ათა)	29	7	9	13	21—41	23
„ზარია“ (ლუგანსკი)	28	6	10	12	20—32	22
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	28	6	9	13	23—30	21
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	28	6	8	14	18—33	20
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	28	6	6	16	21—47	18

დავეუფლოთ ბადმინტონს!

გზის დასაწყისი

1954 წლის შემოდგომით საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ცნობილმა ილუზიონისტმა დ. ჩიტაშვილმა თავის მეგობარს, ნ. რუბანს ჩინეთიდან ორი მსუბუქი ჩოგანი და ბატის ფრთისგან ნაკეთები კონუსისმაგვარი ბურთი ჩამოუტანა საჩუქრად.

მეგობრები — ილუზიონისტი და მომღერალი — ბადმინტონის პირველი პროპაგანდისტები გახდნენ სსრ კავშირში. ენთუზიაზმს ხელს უწყობდა მათი საგასტროლო მოგზაურობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. რუბანს, რომელიც ამჟამად ბადმინტონის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარეა, უყურადღებოდ არც თბილისი დარჩენია. ჩვენი დედაქალაქის ესტრადაზე წარმატებით გამოსვლის შემდეგ მან მაყურებელს არანაკლები წარმატებით გააცნო მისი საყვარელი თამაში, რომელსაც სტიქიურად უკვე მოეკიდებინა ფეხი საქართველოში.

უფრო მოზრდილი აუდიტორიის წინაშე ბადმინტონი მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე წარსდგა. მას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, მაგრამ ეს თამაში ჩვენში სპორტული გატაცების საგნად იქცა.

ბადმინტონი ბევრს ახალ თამაშად მიაჩნია, მაგრამ იგი უფრო ძველია, ვიდრე თუნდაც ყველასთვის საყვარელი და ცნობილი ფეხბურთი. ამ უძველესი თამაშის წესები ჯერ კიდევ 1873 წელს არის ნაპოვნი ინდოეთის ქალაქ პუნაში. ამიტომ ბადმინტონის სამშობლოდ ინდოეთს ასახელებენ, თუმცა იგივე თამაში კარგა ხანია ცნობილია იაპონიაში „იონაბეს“, ხოლო ჩინეთში — „იუი მაოციუს“ სახელით. თავდაპირველად იაპონიასა და ჩინეთში ბურთის მაგიერ ალუბლით, ან განსაკუთრებული ჯიშის პატარა ვაშლებით თამაშობდნენ, რომელთაც ფრთები ჰქონდათ გაკეთებული.

თამაშის ტემპი ისე სწრაფია, რომ ზოგჯერ ბევრ გამოცდილ კალათბურთელსა და ფეხბურთელს შეშურდება. აი, რას ამბობს ბადმინტონის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ჯ. თომასი: „ყველაზე საინტერესო ბადმინტონში ის არის, რომ იგი ერთდროულად მარტივიცაა და რთულიც. აიღეთ ჩოგბურთელის დატვირთვა ხუთ პარტიაში, გაამრავლეთ იგი სამზე და მიიღებთ იმას, რაც აუცილებელია ბადმინტონის მოთამაშისთვის“.

მართლაც, თუ ერთმანეთს ხვდება ორი ან ოთხი კარგი სპორტსმენი, თამაშმა შეიძლება ორ-სამ საათს გასტანოს. ამასთან, მხედველობაში მიიღეთ, რომ ბურთი მიწაზე არ უნდა დავარდეს; განუწყვეტელი მოძრაობა 2-3 საათის განმავლობაში უაღრესად კარგ ფიზიკურ მომზადებასა და ბრწყინვალე ტექნიკას მოითხოვს.

სხვათა შორის, ფიზიკური დატვირთვის თვალსაზრისით ბადმინტონი პირველ სპორტად აღიარეს ჩვენმა კოსმონავტებმა, — მათ ეს თამაში დღის რეჟიმში აქვთ შეტანილი. მოსკოვში ყოველწლიურად ეწყობა კოსმონავტების თასის გათამაშება ბადმინტონში და გამარჯვებულ სპორტსმენს ჯილდოს ჩვენი სახელოვანი კოსმონავტები გადასცემენ ხოლმე.

მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეებად ამჟამად ითვლებიან ინდონეზიელები და მალაელები, რომელთა ქვეყნებშიც ბადმინტონი ისევე პოპულარულია, როგორც ფეხბურთი სამხრეთ ამერიკაში, ან ჩოგბურთი და ცურვა ავსტრალიაში. ეს თამაში უაღრესად გავრცელებულია კანადაში, დანიაში, გდრ-ში და სხვ.

სსრ კავშირში 1963 წელს შეიქმნა ბადმინტონის საკავშირო ფედერაცია, რომლის პრეზიდენტად, როგორც აღვნიშნეთ, ნ. რუბანია არჩეული. ყოველწლიურად იმართება სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობები. იმედია, ამ ასპარეზობაში საქართველოს სპორტსმენებიც გამოვლენ წარმატებით.

გ. სამსონაძე,
თბილისის ბადმინტონის ფედერაციის თავმჯდომარე.

თამაშის წესები

კენჭისყრა

კენჭისყრა შეჯიბრების დაწყებამდე ტარდება. გამარჯვებულს უფლება აქვს აირჩიოს მიწოდება ან მოედნის მხარე; მასვე შეუძლია არჩევანის უფლება მისცეს მეტოქეს.

მიწოდება და ქულის გათამაშება

1. ყოველი პარტია მოედნის მარჯვენა მხარიდან მიწოდებით იწყება. ბურთი დიაგონალურად უნდა წავიდეს და მეტოქის შესაბამისი მოედნის ფარგლებში დაეშვას; მიწოდების დროს ჩოგანი წელს ზემოთ არ უნდა აღიმართოს, ხოლო ჩოგნის თავი მაჯას არ უნდა აღემატებოდეს.

2. ბურთის მიწოდება მეტოქის მომზადებამდე არ შეიძლება. მოთამაშე მზადაა, თუ ბურთის მიღებისთვის საჭირო პოზიცია უჭირავს და უძრავად დგას თავის მოედანზე.

3. ბურთის მიმწოდებელი და ამღები დიაგონალურად უნდა იდგნენ.

4. მიწოდებისას, სანამ ჩოგანი ბურთს არ შეეხება, არც მიმწოდებელს და არც მიმღებს (არც მათ პარტნიორებს წყვილთა თამაშის დროს) უფლება არა აქვს ადგილიდან დაიძრან ან ფეხი მოაცილონ მოედანს (ტერფის ნაწილის მოცილება შეცდომად არ ითვლება).

5. მიწოდების შემდეგ მიმწოდებელსა და ამღებს, აგრეთვე, მათ პარტნიორებს, შეუძლიათ დაიკავონ მოედნის ნებისმიერი ადგილი.

6. მეტოქის ნებისმიერი შეცდომის დროს ქულას იღებს მიმწოდებელი მხარე. ამღებ მხარეს შეუძლია დაიბრუნოს მიწოდება ან მიწოდებათა რიგი.

შეცდომები მიწოდების დროს

1. შეცდომაა, თუ:

ა) ბურთი მიწოდებულია არასათანადო წესით (იხ. მუხლები 1, 2, 3, 4),

ბ) ბურთმა გადაკვეთა ბადე, მაგრამ მოედნის განსაზღვრულ ფარგლებში არ დავარდა,

გ) ბურთმა ვერ გადაკვეთა ბადე ან რაიმე გარე- საგანს შეეხო (ხაზზე დავარდნილი ბურთი მოედნის შიგნით ითვლება),

დ) მიმწოდებელმა გააკეთა ცრუ მოძრაობა, დააყოვნა ბურთის მიწოდება, აიძულა მეტოქე გადაადგილებულიყო და შემდეგ დაარტყა.

2. მიწოდება მეორდება:

ა) თუ წყვილთა თამაშის მონაწილემ ბურთი ურიგოდ, ან სხვა მოედნიდან მიაწოდა და შეცდომა მომდევნო მიწოდებამდე გამოაშკარავდა, ქულა არ ჩაითვლება.

შენიშვნა: თუ მოთამაშეები თავ-თავის მოედანზე არ დგანან, მსაჯი ვალდებულია მიუთითოს მათ, თუკი შეცდომას ბურთის მიწოდებამდე შეამჩნევს.

ბ) თუ წყვილთა თამაშში ბურთს მიიღებს მოედნის შეუსაბამო ადგილზე მდგომი მონაწილე და მისი მხარე მოიპოვებს ქულას.

შენიშვნა: თუ ერთმა მხარემ შეცდომა დაუშვა, დაკარგა ქულა ან მიწოდება, მაშინ მონაწილენი ადგილს თამაშის დამთავრებამდე ვერ შეიცვლიან.

გ) ხელშემშლელი მიზეზების გამო.

დ) თუ მიწოდების დროს ჩოგანი ბურთს არ მოხვდა, ეს შეცდომად არ ჩაითვლება, მაგრამ თუ ჩოგანი შეეხო მას, მიწოდება შესრულებულია.

ზოგადი დებულებანი

1. თუ თამაშის დროს ბურთი ბადეს შეეხო და მეტოქის მხარეზე გადავიდა, დარტყმა სწორია.

2. თუ მოთამაშე ბადესთან ასრულებს ზევიდან დარტყმას, მეტოქეს ჩოგნით ბლოკირების უფლება არა აქვს. ჩოგნის აწევა შეიძლება მხოლოდ სახის დასაფარავად, თუ ამით ხელს არ უშლი მოწინააღმდეგეს.

3. ზოგად შეცდომად, რომელსაც თან სდევს მიწოდების ან ქულის დაკარგვა, ითვლება:

ა) თუ ბურთი დავარდა მოედნის გარეთ, ბადე ვერ გადაკვეთა, შეეხო ჭერს, კედელს და სხვ. (მსაჯთა კოლეგიას უფლება აქვს დაადგინოს დამატებითი წესი გარე საგნებზე ბურთის შეხების შემთხვევაში, თუ შეჯიბრების ადგილზე ასეთი საგნები არის და ხელს შეუშლის ასპარეზობის მსვლელობას).

ბ) თუ დარტყმის დროს ბურთი მეტოქის მხარეზეა (ჩოგნის ინერციით გადატანა მოწინააღმდეგის მხარეზე შეცდომად არ ჩაითვლება).

გ) თუ თამაშის დროს სპორტსმენი რაიმეთი შეეხება ბადეს.

დ) თუ მოთამაშე ან თვითონ გადაიხრება, ან ჩოგანს გადაიტანს მეტოქის მხარეზე და ამით ხელს შეუშლის მას.

ერთეულთა შეხვედრები

1. ვაჟებისა და ჭაბუკების (უფროსი ასაკის) ერთეულთა პარტია გრძელდება 15 ქულამდე, ხოლო შეხვედრა — 2 პარტიის მოგებამდე.

2. ქალებისა და ბავშვების ერთეულთა პარტია გრძელდება 11 ქულამდე, ხოლო შეხვედრა — 2 პარტიის მოგებამდე.

3. შეჯიბრებაში 11 ქულამდე, როცა ანგარიშია 9:9 ან 10:10, ბურთის მიმღებ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს თამაშის გაგრძელება 12 ქულამდე ან ქულათა დაწესებულ რაოდენობამდე. შეჯიბრებაში 15 ქულამდე, როცა ანგარიშია 13:13 ან 14:14, ბურთის მიმღებ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს თამაშის გაგრძელება, პირველ შემთხვევაში, 18-მდე ან ქულათა დაწესებულ რაოდენობამდე, ე. ი. 15-მდე, ხოლო მეორე შემთხვევაში — 17-მდე ან 15-მდე. აღნიშნული წესით პარტიის მსვლელობაში მხოლოდ ერთხელ სარგებლობენ,

4. თუ მიმწოდებელმა შეცდომა დაუშვა, . იგი მიწოდების უფლებას კარგავს, ხოლო თუ ბურთის მიმღები შეცდა, მაშინ ქულა ეწერება მიმწოდებელს, რომელიც ხელახლა აწოდებს ბურთს, ოღონდ ამჯერად მარცხენა მხრიდან მეტოქის მარცხენა მოედანზე. თუ მოწინააღმდეგემ პირველად მიწოდების უფლება მოიპოვა, იგი მოედნის მარჯვენა მხრიდან აწოდებს. ესე იგი, ნოლისა და ქულათა წყვილი რიცხვის შემთხვევაში მიწოდება სრულდება მხოლოდ მარჯვენა მხრიდან, ხოლო ქულების კენტი რიცხვის დროს — მხოლოდ მარცხნიდან.

5. მეორე და მესამე პარტიებში პირველ მიწოდებას ასრულებს მოთამაშე, რომელმაც წინა პარტია მოიგო.

6. გადამწყვეტ პარტიაში მოთამაშენი მოედნის მხარეებს ცვლიან, თუ რომელიმე მათგანი მოიპოვებს 8 ქულას (როცა თამაშია 15 ქულამდე), ან 6 ქულას (როცა თამაშია 11 ქულამდე).

წყვილთა შეხვედრები

1. ყოველ პარტიაში მხარეს, რომელიც თამაშს იწყებს, მიწოდებათა მხოლოდ ერთი რიგის უფლება აქვს. მიწოდებას ასრულებს მოთამაშე № 1 მოედნის მარჯვენა მხრიდან; თუ ქულათა რიცხვი კენტია, მიწოდება სრულდება მარცხენა მხრიდან. პირველ მიწოდებას ღებულობს, აგრეთვე, მოწინააღმდეგის № 1 მოთამაშე, მეორე მიწოდებას № 2 მოთამაშე, შემდგომ მიწოდებას ისევ № 1 და ა. შ. პირველ მოთამაშეთა პარტნიორები მეორე ნომრებად ითვლებიან. თუ № 1 მოთამაშემ პირველი მიწოდება დაკარგა, შემდეგ ორივე მხარეს ეძლევა მიწოდებათა ორ-ორი რიგის უფლება. ამასთან, თუ მიმწოდებელმა მხარემ ქულა მოიგო, მოთამაშე № 1 ქულათა წყვილი რიცხვის დროს მუდამ მარჯვენა მხრიდან აწოდებს, ხოლო კენტი რიცხვის დროს — მარცხნიდან; მოთამაშე № 2 — პირიქით. თუ მიწოდება მოგებულია, ბურთს პირველად მოედნის მარჯვენა მხარეს მდგომი მოთამაშე აწოდებს.

შენიშვნა: № 1 მოთამაშეს იმ ხელზე, რომელშიც ჩოგანი არ უჭირავს, ნიშანს უკეთებენ. შემდგომში პარტიის დაწყებამდე მოთამაშეებს შეუძლიათ შეიცვალონ ნომრები.

2. წყვილთა პარტია, როგორც წესი, გრძელდება 15 ქულამდე, ხოლო შეხვედრა — ორი პარტიის მოგებამდე.

3. წყვილთა შეხვედრებში თამაშის გაგრძელების წესი იგივეა, რაც ერთეულთა შეხვედრებში.

4. ბურთის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ მოთამაშეს, რომელმაც წესის მიხედვით უნდა აიღოს ეს ბურთი; წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელი მხარე იგებს ქულას. ეს მხარე ქულას იგებს მაშინაც, თუ ბურთი შეეხო მეორე მოთამაშეს, ან მან შეცდომით მიიღო იგი.

5. მიმწოდებლისა და მიმღების პარტნიორებს შეუძლიათ დაიკავონ ნებისმიერი ადგილი მოედანზე, რათა ხელი არ შეუშალონ ბურთის მიწოდებასა და მიღებას.

6. მიწოდებული ბურთის სწორად მიღების შემდეგ ბურთზე მომდევნო დარტყმა ორივე მხარის ნებისმიერ წარმომადგენელს შეუძლია.

თამაშისთვის საჭირო მოედანი და დარბაზი

1. როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა შეხვედრისთვის იხაზება მოედანი (იხ.
ნახ. 1, 2). ხაზის სიგანე (4 სმ) შედ
მოედნის ზომაში, ხოლო შუა ხაზის სი
განე ორად იყოფა მარჯვენა და მარცხე
ნა მხარეებს შორის. მოედანი უნდ
იხაზებოდეს შავი, თეთრი ან რომელი
მე მკვეთრი საღებავით.

2. მეორე და ზემდგომი თანრიგ
ოფიციალური შეჯიბრებები ტარდე
დახურულ დარბაზში, უფრო დაბალ
თანრიგის შეჯიბრებები შეიძლება ჩა
ტარდეს ღია ცის ქვეშ. დარბაზის სიმა
ღლე უნდა იყოს არა უმცირეს 7 მეტ
რისა შუა მოედნიდან. თუ ორი მოედ
ნი ერთმანეთის გვერდითაა, მათ შ
მანძილი ერთ მეტრზე ნაკლები არ უ
და იყოს. სიგრძეზე განლაგებულ მოე
ნებს ერთგვაროვანი ფერის ფონი უნ
ყოფდეს (უმჯობესია მუქი მწვანე), ი
ტაკი მუქი საღებავით უნდა შეიღ
ბოს, ხაზები — თეთრით.

ინვენტარი

დარბაზში, სადაც დიდი მასშტაბ
შეჯიბრებები ტარდება, უნდა იყ

1. სამსაჯო კოშკურები (სიმაღ
110 სმ),
2. ხელოვნური ან ელექტროტაბლ
3. ფონები.

მოწყობილობა

ბადეს (2 კბ სმ უჯრედებით), რ
ლის ზომაა 6,1 მ×75 სმ, ნაწიბურ
შემოვლებული აქვს 7,5 სიგანის ორ
გი კანტი და შემზღუდავი ლენტი
თეულთა თამაშისთვის. მის ზედა
ქვედა ბოლოებში გაყრილია 4-5
ლიმეტრიანი ზონარი დასაჭიმად
დასამაგრებლად. ბადე იჭიმება
ძელს შორის, ზედა ნაწიბური 155
სიმაღლეზე მაგრდება. ცენტრში და
ბა 3 სმ არ უნდა აღემატებოდეს.

2. ხის ან ლითონის ძელი დამაგ
ბულია გამჭიმავებით ან კავებით. შ
ლება გამოვიყენოთ მძიმე სადგარ
ძელებიც.

3. ბურთი უნდა იყოს ფრთ
და კორპის თავიანი, რომელსაც გად
რული აქვს ტყავი ან რეზინი. იხმა
ბა პლასტმასის რეზინის თავიანი შ
მპური ბურთებიც. ბურთის წონა 4
5,5 გრამია, თავის დიამეტრია 2
2,8 სმ. ფრთაასხმულობის ყველ
დიდი გარშემოწერილობაა 6,5 სმ,
მაღლე — 6,5-7 სმ.

4. ჩოგანი შეიძლება იყოს ხის,
თონის, კომბინირებული (ლითონ
მზადდება ყელი), ან პლასტმასის,
მის სისქეა 0,9-1,2 მმ, ჩოგნის სი
ძე — 67-68 სმ, ჩარჩოს სიგრძე
24 სმ, სიგანე—21 სმ (ამაშია ფ
სისქეც). ჩოგნის წონა მერყეობს
გრამიდან 165 გრამამდე.



ქართან ჭიდილში... ფოტოეტიუდი ა. გურასაშვილისა.



მოედანი ერთეულთა თამაშისათვის.



კომბინირებული მოედანი ერთეულთა და წყვილთა თამაშისათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ალთას, მეორე ბალთას

საქართველოს პროფკავშირულ-კომკავშირული საშემოდგომო მძლეოსნური კროსი უკვე მერამდენე წელია უხეიროდ ტარდება. რესპუბლიკური ნაკრები სათანადო შევსებას ვერ ღებულობს და ამიტომ ჩვენი გუნდებიც საკავშირო სარბიელზე მუდამ შერცხვენილი რჩებიან. საქართველოს პროფსაბჭოს შესაბამისმა განყოფილებამ მდგომარეობის გამოსწორებისთვის წლეულს უფრო ქმედითი ღონისძიებანი გაატარა — ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკურ და ცენტრალურ საბჭოებს კროსის დებულება სტარტამდე ორი თვით ადრე დაუგზავნა და კარგად მომზადებული გუნდების გამოყვანა დაავალა.

სპორტსაზოგადოებები უქმად როდი იყვნენ — ბევრგან გაიმართა მასობრივი კროსები. მაგალითად, „ბურევესტნიკის“ ფიზკულტურის კოლექტივების ტურნირებში ათასობით მძლეოსანმა იასპარეზა. ვალში არც „შრომითი რეზერვები“ დარჩა. რესპუბლიკური კროსები „ლოკომოტივმა“ და „კოლმეურნემაც“ გამართეს, მაგრამ რატომღაც იმ დისტანციებზე კი არ ასპარეზობდნენ, რასაც პროფკავშირულ-კომკავშირული რესპუბლიკური კროსის პროგრამა ითვალისწინებდა, არამედ უფრო მოკლეზე. და აი, ანგარიშის ჩაბარების დრო რომ დადგა, ბევრი გუნდის სტაიერები მოუმზადებელი აღმოჩნდნენ.

კროსის ფინალი გასულ კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ აქაც იჩინა თავი შეჯიბრების ორგანიზატორთა შეუთანხმებლობამ.

... ხანგრძლივი უამინდობის შემდეგ ამ დღეს დილიდანვე მზიანი, უქარო დარი დადგა. ჩვენი გაზეთი სწორედ კვირის ნომრით იტყობინებოდა, კროსი კუს ტბაზე გაიმართებაო (პროფსაბჭოდან ასე გვაცნობეს) და ბევრი თბილისელი იქით გაეშურა: საინტერესო ტურნირსაც ვნახავთ და დავისვენებთ კიდეცო. მაყურებელი მრავლად იყო. მაგრამ აი, სტარტისთვის დანიშნულ დროს — 12 საათს გადასცდა, დაპირებული ტურნირის კი ნიშანწყალიც არ იგრძნობოდა.

ღელავდა „განთიადის“ გუნდის მწვრთნელი ზ. ჯარაშნელიც. მას რამდენიმე კროსმენი მოეყვანა პირად ჩათვლაში საასპარეზოდ და ახლა შეშფოთებული ეძებდა სტარტს. კუს ტბაზე „გასეირნება“ შერჩა საქართველოს სპორტკავშირის მთავარ მწვრთნელს მძლეოსნობაში რ. ტრაპაიძესა და ასობით სხვა თბილისელსაც. განთიადელი სპორტსმენები შინ წავიდნენ. ჩვენ მკითხაობა დავიწყეთ. ბოლოს იპოდრომსა და დელისს მივაშურეთ.

როგორც იქნა მივაკვლიეთ: სტარტი უნივერსიტეტის ახალი კორპუსების მშენებლობის მიდამოებში მოეწყოთ, საბურთალოში. იქვე შევიტყვეთ, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებს მსაჯების დაჟინებული მოთხოვნით შაბათ საღამოს გადაეწყვიტათ ასპარეზობის აქ გადმოტანა. ნათქვამია, ერთი ალთას, მეორე ბალთასო... ასეა სწორედ! შეჯიბრებას მსაჯების, მონაწილეების, მათი წარმომადგენლებისა და პრესის ორიოდე მუშაკის გარდა არავინ დასწრებია (ესეც პროპაგანდა!). სტარტზე მხოლოდ ის 5 კოლექტივი გამოცხადდა, რომლებსაც წინა საღამოს აცნობეს შეჯიბრების საბოლოო ადგილი.

მონაწილენი მაინც თავდაუზოგავად იბრძოდნენ გამარჯვებისთვის და საკმაოდ კარგი შედეგებიც მოიპოვეს. მაგალითად, 8000 მეტრზე რბენაში 9 ვაჟი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ერთხანს მხარდამხარ მირბოდნენ „ბურევესტნიკის“ გუნდის წევრები ნ. დავიდენკო (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ი. მიხაილჩენკო (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). თავიანთი საზოგადოების კროსში მათ ერთნაირი შედეგი (26.57,0) ჰქონდათ. ახლა ორივემ გააუმჯობესა მაშინდელი მაჩვენებელი, მაგრამ დავიდენკომ მეტად იმარჯვა და პირველობაც მოიპოვა — 24.14,0. მიხაილჩენკოს დრო 25.37,0. მესამეც მათი თანაგუნდელი ი. ლოგუნოვი გახლდათ — 27.20. განსაკუთრებით კარგია დავიდენკოს მაჩვენებელი. ამ შედეგით იგი საკავშირო სარბიელზე ალბათ სამეულში დაიმკვიდრებდა ადგილს.

გაგვაოცა მსაჯთა უყურადღებობამ: სწორედ ამ გარბენში ე. ბდოიანმა („კოლმეურნე“) მათ თვალწინ მოჭრა დისტანცია და რატომღაც დაუსჯელი დარჩა.

2000 მეტრზე რბენის სტარტზე მხოლოდ 7 ქალი გამოვიდა, მაგრამ ბრძოლის სიმწვავე ამით ოდნავადაც არ შენელებულა. გამოცდილ რ. შჩიკოვსკაიას („ლოკომოტივი“) ღირსეულად ებრძოდა ბოგდანოვკელი მოსწავლე ა. კაზაკოვა („კოლმეურნე“). თბილისელს დიდი ჯაფის დახარჯვა დასჭირდა გამარჯვებისთვის — 7.41,0. ვფიქრობთ, კაზაკოვა (7.54,6) ამ კროსის ერთადერთი აღმოჩენა უნდა იყოს. III ადგილი დაიკავა ს. პარასკევოვამ („ბურევესტნიკი“) — 8.35,0.

უფრო ხალხმრავალი იყო ქალიშვილებისა (1000 მ) და ჭაბუკების (4000 მ) ტურნირი. ქალიშვილებში ყველას აჯობა უკონკურსოდ მონაწილე ლ. პაზოკამ („დინამო“). მან 3,8 წამით უკეთესი დრო აჩვენა, ვიდრე პირველ ადგილზე გასულმა დ. სუბოტინამ („ბურევესტნიკი“) — 3.39,8. თავის მხრივ სუბოტინამ 2,2 წამით აჯობა „კოლმეურნის“ გუნდის წევრს ა. ბაგიიაევას.

28 ჭაბუკთან ჭიდილში I ადგილი წილად ხვდა ვ. მაირომიანს — 12.44,8. II ადგილზეა ა. მიქოიანი (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 12.48,0, III — მათი თანაგუნდელი, პირადი ასპარეზობის მონაწილე პ. თელია — 13.06,0.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „ბურევესტნიკი“, 2. „კოლმეურნე“, 3. თბილისის განათლების განყოფილება.

ო. გელაშვილი.

• • •

სურათებზე: მარჯვნივ — რ. შჩიკოვსკაია; ზევით — 4000 მეტრზე მორბენალი ჭაბუკების ერთი ჯგუფი.

ფოტო ავტორისა.

საუკეთესო ორიენტირი

ავჭალის სასროლეთზე გრძელდება სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ვ. გორობეცი სპეციალისტებიდან არავის მიაჩნდა გამარჯვების სერიოზულ პრეტენდენტად, მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. როცა გორობეცმა გაიგო, რომ მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 50 და 100 მეტრზე სროლაში სარბიელზე სსრ კავშირის რეკორდსმენის, თანაგუნდელ ვ. პარხიმოვიჩის შემდეგ უნდა გასულიყო, კმაყოფილი დარჩა. რეკორდსმენი საუკეთესო ორიენტირს წარმოადგენდა მისთვის.

21 წლის ჯარისკაცმა განიზრახა არ ჩამორჩენოდა ცნობილ ოსტატს. პარხიმოვიჩმა ბოლო ტყვია გაისროლა და მსაჯებმა წინასწარ შედეგად 592 ქულა გამოაცხადეს. გორობეცს კიდევ ბევრი ტყვია ჰქონდა. არ ჩქარობდა, 50 მეტრიდან მტკიცედ ისროდა და პირველ სერიაში ქულათა მაქსიმუმი (100) მოაგროვა, მეორე და მესამე სერიებში კი მხოლოდ თითო ქულა დაკარგა. 298 ქულა 300-დან — ამ ბრწყინვალე შედეგით გავიდა გორობეცი 100 მეტრიდან სროლის ხაზზე. აქ მან 99, 98 და კიდევ 98 ქულა აჩვენა, საბოლოოდ კი 600-დან 593 ქულა მოაგროვა. ამან გორობეცს (სახმელეთო ჯარები) გამარჯვება მოუტანა. ჩემპიონი 4 წელია გამოჩნდა სარბიელზე, ოსტატობა კი 2 წლის წინ შეასრულა. III ადგილზე გავიდა პირად ტურნირში მოასპარეზე ვ. ბეზბოროდოვი (სამხედრო-საჰაერო ძალები) — 590.

იუნიორთა შორის ეს ვარჯიში მოიგო რიგითმა ა. სიდოროვმა (საჰაერო თავდაცვა) — 588.

საინტერესო იყო ქალთა ტურნირიც. მსოფლიო რეკორდსმენმა ე. ზახარჩენკომ (საჰაერო თავდაცვა) 50 მეტრიდან სროლაში ტოლი არ დაუდო გორობეცს — 300-დან მანაც მხოლოდ 2 ქულა დაკარგა. 100 მეტრიდან სროლაში ზახარჩენკო უარესად გამოვიდა — 291 ქულა დააგროვა, თუმცა ქალებში გამარჯვებისთვის ეს შედეგიც საკმარისი აღმოჩნდა.

გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა სპორტის დამსახურებული ოსტატი თ. ლომოვა (სახმელეთო ჯარები) — 587. III ადგილზეა ნ. ჟარკოვა (სამხედრო-საჰაერო ძალები) — 581.

ქალთა გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა სახმელეთო ჯარების ტრიომ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლომოვა, კ. ბოიკო და თბილისელი ლ. ჟურული (ვაჟებშიც მათმა თანაგუნდელებმა იმარჯვეს).

რევოლვერ-პისტოლეტით მსროლელებმა ნახევარი ვარჯიში დაამთავრეს. დაწინაურდა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონი რ. სულეიმანოვი (სამხედრო-საჰაერო ძალები), რომელმაც 60 ტყვია მოახვედრა მიზანს და 569 ქულა მოაგროვა. აი, სულეიმანოვის ცალკეული მაჩვენებლები: 10-წამიანი სერია — 99 და 94; 8-წამიანი — 95 და 97; 6-წამიანი — 89 და 95 ქულა.

ამ სახეობაში გამარჯვებული გამოვლინდება ასპარეზობის ბოლო დღეს.

ვ. ბუკინი.

• • •

სურათებზე: ზევით — ა. სიდოროვი ცეცხლის ხაზზე; ქვევით — ე. ზახარჩენკოს გამარჯვებას ულოცავს მწვრთნელი ს. კუდრიაკოვი.

ფოტო ა. გურასაშვილისა.

საიუბილეოდ

გუშინ თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს მოჭადრაკეთა მასობრივი, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი. დარბაზში თავი მოიყარა 90 მოჭადრაკემ, რომელთა ნახევარზე მეტი რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოვიდა.

გახსნის ცერემონიალზე ითქვა, რომ წლეულს, დეკემბრის დამდეგს, ხარკოვში მოეწყობა საბჭოთა მოჭადრაკე ვაჟთა დიდი, 140-კაციანი საიუბილეო ფორუმი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი დიდოსტატებიც მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოდან ამ ფორუმში გამოვლენ წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე, ოსტატი ბ. გურგენიძე, სსრ კავშირის ჩემპიონი სოფლის მოჭადრაკეთა შორის, ოსტატობის კანდიდატი ჯ. ბერაძე (წყალტუბო) და ჩვენი მასობრივი ტურნირის 4 გამარჯვებული.

მასობრივი საიუბილეო ტურნირი, რომელიც კლუბში (რუსთაველის პრ. № 48) ჩატარდება, შვეიცარიული სისტემით მოეწყობა. გათამაშდება 8 ტური. შეჯიბრება დღეს აიღებს სტარტს და 21 ოქტომბრამდე გასტანს. ტურნირები 17 საათიდან დაიწყება, ხოლო გადადებული პარტიების დამთავრება — მეორე დღის 10 საათიდან. 15 ოქტომბერი დასვენების დღეა.

დიდი ფორუმის 4 საგზურისთვის ბრძოლა უაღრესად დაძაბული იქნება, ვინაიდან მასზე პრეტენზიას აცხადებენ ჩვენი ოსტატები საქართველოს ჩემპიონის რ. ჯინჯიხაშვილის თავკაცობით, აგრეთვე, თბილისის მასობრივი ტურნირის პრიზიორები და რაიონების უძლიერესი მოჭადრაკეები.

თ. ნინოშვილი.

ცხრიდან შვიდში

გუშინ თბილისში სტარტი აიღო „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადამ, რომელიც ოქტომბრის 50 წლისთავს ეძღვნება. ასპარეზობაში მონაწილეობენ მანქანათმშენებლობის, მშენებლობისა და საშენ მასალათა წარმოების, ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი, მეტალურგიული, ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის, კვების, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, ქვანახშირის მრეწველობის, ელსადგურებისა და ელექტრომრეწველობის პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების, აგრეთვე, სპორტკლუბ „განთიადის“ ნაკრები გუნდები.

სპარტაკიადის პროგრამაშია 9 სახეობა. ცურვა ყველასთვის სავალდებულოა. დანარჩენი რვიდან ყველა ორგანიზაციამ ამორჩევით ექვს სახეობაში მაინც უნდა გამოიყვანოს გუნდი, ვინაიდან საერთო გუნდური შედეგების განსაზღვრისას ჩათვლაში შვიდ სახეობაში მოპოვებული მაჩვენებლები შევა.

სპარტაკიადა საზეიმოდ გაიხსნება 14 ოქტომბერს, 17 საათზე სპორტკლუბ „განთიადის“ სტადიონზე, ხოლო პროგრამით გათვალისწინებული ტურნირები დაიწყება ყოველდღე 11 და 17 საათზე.

აი, სპარტაკიადის კალენდარი:

მძლეოსნობა. რუსთავი. 12-14 ოქტომბერი;
მაგიდის ჩოგბურთი. თბილისი, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს სპორტდარბაზი. 19-22;
ფრენბურთი. თბილისი, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მოედნები. 16-21;
ფეხბურთი. თბილისი, მაუდ-კამვოლის კომბინატისა და სპორტკლუბ „განთიადის“ სტადიონები. 10-22;
ჭადრაკი. თბილისი, ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. 17-22;
ცურვა. თბილისი, „განთიადის“ აუზი. 12-13;
კალათბურთი. რუსთავი, „მეტალურგის“ სტადიონი. 15-20;
ქართული ჭიდაობა. გორი, სპორტდარბაზი. 18-21;
შაში. რუსთავი, „მეტალურგის“ დარბაზი. 12-17.

EM KORIPALLO
HELSINKI - TAMPERE
28.9 - 8.10.1967

„სწორუპოვარი გუნდი ბრწყინვალე კალათბურთელებით“

ჰელსინკი, 10 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). „კალათბურთელ ვაჟთა ევროპულ ჩემპიონატში უჩვეულო არაფერი მოხდება. გაიმარჯვებს სსრ კავშირის ნაკრები“. ასეთი იყო თითქმის საყოველთაო აზრი მანამდეც კი, ვიდრე ეს საინტერესო ასპარეზობა სტარტს აიღებდა. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უ. ჯონსმა პროგნოზისგან თავი შეიკავა. მაგრამ როცა ჩვენმა კალათბურთელებმა მაყურებელი სწორუპოვარი თამაშით განაცვიფრეს, ჩეხოსლოვაკიელებთან საფინალო მატჩის წინ ჯონსმა მაინც განაცხადა: „ახლა თავისუფლად შემიძლია ვთქვა: რასაკვირველია, ჩემპიონი სსრ კავშირის გუნდი იქნება“.

გადამწყვეტ მატჩში ჩვენს ბიჭებს პირველ ხუთ წუთს გაუჭირდათ. ეს ალბათ ნერვული დაძაბულობის შედეგი იყო: ხუმრობა ხომ არ არის ერთი კვირის მანძილზე ყოველდღე თამაში ევროპის უძლიერეს გუნდებთან. ამიტომ იყო: ხუთი წუთი ისე მიიწურა, რომ ანგარიშის გაზრდა ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო. შემდეგ ყველაფერი თავისი რიგით წავიდა, — საბჭოთა ნაკრები დაწინაურდა და თამაშის ბოლოს მატჩის ბედი ჩვენმა სათადარიგო სპორტსმენებმა გადაწყვიტეს.

ჩემპიონატმა ნათლად დაამტკიცა ამ სახეობის დიდი წინსვლა სოციალისტურ ქვეყნებში. I-V ადგილებზე ხომ სწორედ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები გავიდნენ! ამის თაობაზე თავისი აზრი გამოთქვა ჯონსმა: „საერთოდ, ევროპულმა კალათბურთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. სსრ კავშირის გუნდმა დაამტკიცა, რომ ამჟამად მას ტოლი არ ჰყავს ევროპაში. ჩემი აზრით, საბჭოთა კალათბურთელები ახლა უკეთ თამაშობდნენ, ვიდრე მონტევიდეოში, მსოფლიო პირველობის მატჩებში. ევროპის ჩემპიონატმა გამოავლინა ახალგაზრდა, ნიჭიერ მოთამაშეთა მთელი პლეადა. ახალგაზრდობას ასეთი გაბედული სიტყვა ჯერ არც ერთ ტურნირში არ უთქვამს“.

ფინეთის პრესა ფართოდ გამოეხმაურა ჩემპიონატს. გაზეთების პირველი გვერდები ასეთი სათაურებითაა აჭრელებული: „საბჭოთა გუნდმა დამაჯერებლად გაიმარჯვა, მის მეტოქეებს არავითარი შანსი არ ჰქონდათ“; „სსრ კავშირის კალათბურთელთა სიმძლავრე შეურყეველია“, „სწორუპოვარი გუნდი ბრწყინვალე კალათბურთელებით“. (სხვათა შორის, ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულია ა. პოლივოდა).

გაზეთ „ხიუვიუდსტადსბლადეტის“ სპორტული მიმომხილველი წერს, ჩემპიონატში საბჭოთა გუნდს ტოლი არ ჰყავდაო. ამ გაზეთმა გამოაქვეყნა გ. ვოლნოვის ფოტოსურათი: ჩვენი ნაკრების კაპიტანი ბურთით ხელში ჰაერში აჭრილა. წარწერაში ნათქვამია, საბჭოთა კალათბურთელებზე დედამიწის მიზიდულობა არ მოქმედებდაო. გაზეთ „სუომენ სოსიალიდემოკრაატი“ ვკითხულობთ: „საბჭოთა გუნდის ყველა მოთამაშე ჩინებული თვისებებითაა დაჯილდოებული. ევროპის დანარჩენ ქვეყნებს შეუძლიათ მოგვცენ საუკეთესო ხუთეულები, მაგრამ სსრ კავშირის ნაკრებივით 12 საუკეთესო კალათბურთელს ვერ გამოიყვანენ. საბჭოთა გუნდში ძალისმიერი თამაში ბრწყინვალე ოსტატობამ შეცვალა“.

ნ. ბუბუშვილი,
ჯ. ენუქიძე.

ახალი ამბები

● **ვიიპური, 9 ოქტომბერი.** მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 5 ტურის შემდეგ ლიდერობს კ. დარგა (გფრ) — 3,5 ქულა. ბოლოსწინა ტურში მან მოუგო ბ. ლარსენს (დანია). დანიელ დიდოსტატს, ფ. გეორგიუს (რუმინეთი), პ. კერესსა და ბ. სპასკის 3-3 ქულა აქვთ.

● *ოდესა, 9 ოქტომბერი.* ბონის „ერკუნშვიკის“ (გფრ) ფეხბურთელებმა ადგილობრივ „ჩერნომორეცთან“ აქ გამართული მატჩით დაამთავრეს ტურნე სსრ კავშირში. სტუმრები დამარცხდნენ — 0:1. ერთადერთი ბურთი 28-ე წუთზე გაიტანა ზვენიგოროდსკიმ.

● **ლენინგრადი,** 9 ოქტომბერი. **აქ გაიმართა მოსკოვისა და ლენინგრადის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. მინდორზე მოსკოველები გამოიყვანა ი. ნეტომ, ხოლო ლენინგრადელები — ფ. მარიუტინმა. მოსკოველთა კარში იდგა ა. ხომიჩი, ლენინგრადელთა კარში — ლ. ივანოვი. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. 34-ე წუთზე თავური დარტყმით ბურთი გაიტანა ნეტომ, ხოლო 81-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმოდან საპასუხო გოლის ავტორია მ. ივანოვი.**

● ოდესა, 9 ოქტომბერი. აქ ორ დღეს გაგრძელდა ახალგაზრდა უკრაინელ და რუმინელ მძლეოსანთა მატჩი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 169:140 (გოგონები — 71:47, ჭაბუკები — 98:93). უნდა აღინიშნოს რუმინელთა რამდენიმე შედეგი: სიმაღლეზე ხტომა: ვ. ბონჩი — 171 სმ; 200 მეტრზე რბენა — ბ. ილიესკუ — 21,7, 80 მეტრზე თარჯრბენი — ვ. ბუფანუ — 10,8. მასპინძლებიდან კარგად გამოვიდნენ სიგრძეზე მხტომელი ნ. ავილოვი (732 სმ) და შუბის მტყორცნელი ნ. მარაკინა (53,28 მ).

● *ერევანი, 9 ოქტომბერი. ადგილობრივ ველოტრეკზე კიდევ ერთი ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. მისი ავტორია ხარკოვის საველოსიპედო ქარხნის ტექნიკ-ელექტრიკოსი, 19 წლის რ. ობოდოვსკაია. იგი მხოლოდ ერთი წელიწადია, რაც ტრეკზე გამოდის და უკვე მიაღწია ტრიუმფალურ წარმატებას. 5 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში ობოდოვსკაიას შედეგია 6.55,7. ხარკოველმა სპორტსმენმა 7,6 წამით გააუმჯობესა ნ. სადოვიას ძველი მსოფლიო რეკორდი, რომელიც 12 წელი ურყევად იდგა. უნდა აღინიშნოს, რომ ობოდოვსკაიამ ვერცხლის მედლები მოიხვეჭა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადასა და ჰოლანდიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში.*

● **მოსკოვი,** 9 ოქტომბერი. **მეხიკოს ოლიმპიურ კვირეულში სასპარეზოდ მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქს გაემგზავრნენ საბჭოთა ჩოგბურთელები — ო. მოროზოვა, ა. მეტრეველი და ს. ლიხაჩოვი.**

ახალი ამბები

უკანასკნელ საათს...

◆ **გლაზგო,** 10 ოქტომბერი. **ადგილობრივმა „სელტიკმა“, რომელიც ჯერჯერობით კიდევ ატარებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელის წოდებას, „მშრალი“ ანგარიშით (4:0) მოუგო დიდი ბრიტანეთის ოლიმპიურ ნაკრებს. ფეხბურთელთა ეს ამხანაგური მატჩი გლაზგოელთა რეპეტიცია იყო საკონტინენტთაშორისო თასის ფინალური შეხვედრის წინ. როგორც ცნობილია, პირველ ასეთ მატჩს არგენტინის „რესინგთან“ შოტლანდიელი ფეხბურთელები გამართავენ 18 ოქტომბერს გლაზგოში.**

ოქროს მედლების საძიებლად

ხელბურთი

დღეს კაუნასს მიემგზავრება თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდი (უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. შარაშიძე), რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩებში ოქროს მედლებისთვის.

მოგვყავს ფინალურ ტურნირში მონაწილე 6 გუნდის სადღეისო მდგომარეობა: „კუნცევო“ (მოსკოვი) — 20 ქულა, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — 18, „დაუგავა“ (რიგა) — 15, მაი (მოსკოვი), ასკ (ლვოვი) — 12-12, „პოლიტექნიკი“ (მინსკი) — 11.

თბილისის „ბურევესტნიკის“ თამაშების კალენდარი ფინალში ასეთია: 13 ოქტომბერი — ასკ (ლვოვი), 14 — „დაუგავა“, 15 — თავისუფალი დღე, 16 — მაი, 17 — „პოლიტექნიკი“, 18 — „კუნცევო“.

ია ახრახაძემ ჯერ კიდევ 1963 წელს ვოლგოგრადში, მოსწავლეთა VIII საკავშირო სპარტაკიადაში ისახელა თავი. მაშინ იგი კალათბურთელთა ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს და ჩვენი ქვეყნის გოგონათა ნაკრებ გუნდში შეიყვანეს. ახლა თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ი. ახრახაძე წარმატებით მონაწილეობს დიდ შეჯიბრებებში, როგორც უნივერსიტეტისა და საქართველოს ნაკრები გუნდების წევრი.

ამჟამად თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედნებზე დედაქალაქის უძლიერესი კლუბების ასპარეზობა ტარდება. ამ შეჯიბრებაში წარმატებით გამოდის უნივერსიტეტის ქალთა ნაკრებიც. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრაში უნივერსიტეტელებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 77.39. ამ მატჩში ახრახაძემ გუნდს 23 ქულა შესძინა.

ი. იუნაევი.

სურათზე: ი. ახრახაძე (ბურთით) გაექცა მეტოქეს.

ფოტო ავტორისა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

„რეალი“ გაახალგაზრდავდა

მწვრთნელმა მ. მუნიოსმა, რომელიც ახლა ესპანეთის ჩემპიონის წოდებისთვის და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის იბრძვის, დიდი ცვლილებები მოახდინა მადრიდის „რეალში“. მან იყიდა 5 ახალგაზრდა მოთამაშე, რომელთაგან 3 მეორე ლიგაში გამოდიოდა: მცველი ხოსე ლუირი, ნახევარმცველი ასტრაინი და ცენტრფორვარდი ისნატა.

ნახევარმცველი დე დიეგო „რეალმა“ შეიძინა „ოვიედოდან“, ხოლო მარჯვენა გარემარბი მიგელ პერესი — „მონაკოდან“. ესპანელი პერესი არგენტინაში დაწინაურდა, შემდეგ კი საფრანგეთში გამოდიოდა. სპეციალისტების აზრით, იგი უაღრესად ნიჭიერი ფეხბურთელია.

მოკლედ

● **საფეხბურთო** აჟიოტაჟი იაპონიასაც მოედო. ტოკიოს უნივერსიტეტის სტადიონზე გამართული მატჩის მსვლელობისას არბიტრის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო 4.000 მაყურებელი მინდორზე გადავიდა და მსაჯის საიქიოს გასტუმრებას აპირებდა. იგი მხოლოდ პოლიციამ გადაარჩინა.

● **ცნობილმა** ფეხბურთელმა ფ. პუშკაშმა რამდენიმე თვის წინ ჩაიბარა აშშ-ს ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბი — სან-ფრანცისკოს „გოლდენ გეიტ გეილსი“. კლუბის ხელმძღვანელობამ ახალ მწვრთნელს დიდი თანხა მისცა და ევროპაში გაისტუმრა ახალ მოთამაშეთა შესაძენად. პუშკაშმა უკვე 15 ფეხბურთელის ყიდვა მოახერხა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

წყნეთის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის

გრიგოლ ნოეს ძე ციბაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ხელმოწერა შეუზღუდავია და მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში.
ხელმოწერის ფასია: 1 თვით — 65 კაპ., 3 თვით — 1 მან. 95 კაპ., 6 თვით — 3 მან. 90 კაპ., 12 თვით — 7 მან. 80 კაპ.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 11148